ქირავნობის ხელშეკრულება

ქ.თბილისი

01 ივლისი, 2013

ერთის მხრივ შპს „სამგორი -2004“-ის დირექტორი ოთარ მამულაიძე შემდეგში „გამქირავებელი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. **„მაკრიალი“-ს დირექტორი კვირკველია გიორგი** `` შემდეგში „დამქირავებელი„ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „გამქირავებელი„ გადასცემს, „დამქირავებელს„ დროებით სარგებლობაში „გამქირავებლის“ საკუთრებაში არსებულ № 4, 5, 6 /1 მაღაზიის **ფართობს, რომელიც** მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი: მოსკოვის გამზირი №-6 საერთო 63-00 (სამოცდასამი) კვ.მეტრის ოდენობით

1.2. 1.1 პუნქტში მითითებული ფართი „დამქირავებელს„ გადაეცემა კომერციული საქმიანობისსაწარმოებლად კერძოდ: მცენარეთა დაცვა

2. ფართის გადაცემის და უკან დაბრუნების წესი

2.1. „გამქირავებელი“ ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი დღის განმავლობაში „დამქირავებელს“ **გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული** ფართი.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე ან წინამდებარე ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში „დამქირავებელი“ ვალდებულია გადაცემული ფართი „გამქირავებელს“ დაუბრუნოს იგივე მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება **2014 წლის 01** იანვრამდე და ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შეიძლება მოხდეს ასევე მეორე მხარის წინასწარი წერილობითი გაფრთხილებით არა უგვიანეს ერთი თვით ადრე.

4. საიჯარო ქირა

4.1. ქირის ოდენობაა თვეში 800 (რვაასი) ლარი, რომელსაც „დამქირავებელი„ უხდის „გამქირავებელს“ ყოველი სამუშაო თვის დასაწყისში 15 (თხუთმეტ) რიცხვამდე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „გამქირავებელი„ ვალდებულია:

- უზრუნველყოს „დამქირავებლის„ მიერ აღებული ფართით შეუფერხებელი სარგებლობა ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

5.2 “გამქირავებელი“ უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს „დამქირავებელს“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვა.

გამქირავებელი

დამქირავებელი

ხელშეკრულების პირობებიდან თუნდაც ერთი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალსახრივად გააუქმოს ხელშეკრულება და „დამქირავებელს დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებინოს დაკავებული ფართი.

- 5.3. „დამქირავებელი„ ვალდებულია:

- ქირავნობის ხელშეკრულებით აღებული ფართი ან მისი ნაწილი არ გადასცეს სხვა პირს ქვექირავნობით, არ გაასხვისოს ან გაყიდოს იგი „გამქირავებლის“ წერილობითი თანხმობის გარეშე

ქირავნობის ფართი გამოიყენოს მხოლოდ კომერციული საქმიანობისათვის.

- დროულად გადაიხადოს ქირა.
- სისტემატიურად გადაიხადოს კომუნალური ხარჯები.
- წესრიგში იქონიოს დაქირავებული ფართი, დაიცვას სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.
- საკუთარი ხარჯებით შეასრულოს ფართის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.
- თავისი საქმიანობა აწარმოოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით.

პუნქტით/ქვეპუნქტით გათვალისწინებული

-წესრიგში იქონიოს ყველა ის საბუთი (ლიცენზია, სერტიფიკატი და სხვა), რომელიც საჭიროა (ჯიხურში, ფართში), კომერციული საქმიანობის საწარმოებლად და პირველივე მოთხოვნის თანავე წარუდგინოს ისინი მაკონტროლებელ ორგანოებს და პასუხი აგოს მათ კანონიერებაზე

-პასუხი აგოს შემოტანილი საქონლის კანონიერებაზე, ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მისი შენახვის პირობებსა და უსაფრთხოებაზე

5.4. „დამქირავებელი„ უფლებამოსილია:

- გამოიყენოს დაქირავებული ფართი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით
- მოსთხოვოს „გამქირავებელს“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვა.

6. მხარეთა პასუხისგებლობა

6.1. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო წარმოშობილი ზიანი.

7. დამატებითი პირობები

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ „დამქირავებლის“ მიერ ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში „გამქირავებელს“ უფლება აქვს დალუქოს ქირით გაცემული ფართი და არ დაუშვას „დამქირავებელი“ აღნიშნულ ფართზე ქირის სრულ დაფარვამდე. ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში „გამქირავებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს გაქირავებულ ფართში არსებული ნივთების რეალიზაცია არსებული დავალიანების დასაფარად.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს მოაწერს ორივე მხარე.

7.3.. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მხარეთა რეკვიზიტები

„გამქირავებელი„
შ.პ.ს. „სამგორი-2004“
მოსკოვის გამზირი №-6
„საქართველოს ბანკი“
ა/ნ GE24BG0000000482131
ს/კ 206048338
დირექტორი ფთარ მაჭარაშვილი

„დამქირავებელი“
შ.პ.ს. „მაკრიალი“
დირ: გიორგი კვირკველია
მის: გორგასლის ქ № 28
ს/კ 406068650
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
MiBGE22
GEOSPC04836001000025